5480/3-110/22 2 20062022

5480/3-110/22
20-06-2022

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს
ირაკლი ქარსელაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

ჯერ კიდევ 2 წლის წინ, 2020- ის არჩევნების დროს ქართლში მოსახლეობა ელოდებოდა ნიქოზი- გორის მატარებლის ამუშავებას. ლიანდაგები მას მერე კიდევ უფრო დაზიანდა, დაჟანგდა, ალაგ-ალაგ გაქრა, ვაგონებიც ასევე. მოსახლეობა ავტობუსის ან საკუთარი თუ ტაქსის იმედად დარჩა, თანაც მოუწესრიგებელ გზებზე, ახლა განსაკუთრებით მწვავედ დგას მატარებლის ამოქმედების საკითხი.

არა მხოლოდ სოფლის და მუნიციპალიტეტის ცენტრის დამაკავშირებელი, არამედ მუნიციპალიტეტებს შორის მავალი მატარებლების განრიგიც გაუქმდა, კოვიდ პანდემიის გამო. ახლა, როცა კოვიდ რეგულაციები მოხსნილია, რა სამუშაოები არის დაგეგმილი და რას გეგმავთ ამ მიმართულებით, როდის ვარაუდობთ ნიქოზი-გორის მატარებლის ამოქმედებას.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნატო ჩხეიძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge